ლენინის საქმე ცოცხლობს დაიმარჯვებს!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 ხუთშაბათი 22 აპრილი № 93 (16523) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ოქტომბერი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი

ვ. სეროვის ნახატი

ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დღეს ზეიმით აღნიშნავს ულადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ასმეექვსე წლისთავს.

ვ. ი. ლენინმა დააარსა ახალი ტიპის პროლეტარული პარტია. მისმა ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. მისი გენიით იშვა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი.

ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს რომ აღნიშნავს, ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი განვლილ გზას უდარებს ლენინის ანდერძს, რითაც აფასებს ისტორიულ წარმატებებს, განსაზღვრავს მომავლის ამოცანებს, ნათლად წარმოიდგენს გადასაჭრელ პრობლემებს.

ბელადის დაბადების დღე აღინიშნება დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის გაჩაღებული შემოქმედებითი შრომის ვითარებაში.

მეათე ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის ბრძოლა არის გაგრძელება პირველი საბჭოთა ხუთწლედების შრომითი პათოსისა, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის გმირული საქმეების შემდგომი განვითარება.

ლენინიზმის დროშით შენდება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოება, ვითარდება და მტკიცდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა, ახალ წარმატებებს აღწევს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. ჭეშმარიტად, ლენინიზმი არის ყველაზე მოწინავე და გავლენიანი იდეოლოგია თანამედროვე მსოფლიოში, იმ მზარდი ძალების ყოვლისმძლე იდეოლოგია, რომელთაც მომავალი ეკუთვნის.

საქართველო მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მიდის ლენინური გზით. მათ იციან, რომ ლენინიზმი მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის მძლავრი ძალაა, რომ ლენინური პარტია საბჭოთა ხალხის ბრძენი მესაჭე და მებრძოლი ავანგარდია.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ლენინის იდეების, მისი ანდერძის ერთგული საქართველოს კომუნისტების წმინდა მოვალეობაა განამტკიცონ კავშირი ხალხთან, აამაღლონ მათი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, შრომითი კოლექტივები დარაზმონ მეათე ხუთწლედის — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის — დავალებათა განხორციელებისათვის.

— ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის, უფრო მალე ავწიოთ 1976 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ნოსკოლისტური შეჯიბრების დროშა! — ასეთი დევიზით მიეწყო შრომის დიდი ზეიმი — ლენინური შაბათობა, რომელიც გ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავს მიეძღვნა.

უკანასკნელ წლებში, — თქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისადმი წარდგენილ სანგარიშო მოხსენებაში, — რესპუბლიკის იდეოლოგიურ ცხოვრებაში ერთგვარი თვისებრივი ძვრები მოხდა. პარტიის თბილისის სამაზრო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდა იდეოლოგიური მუშაობა; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ლენინურ მიმართულებებს — მასების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, მთელი პროპაგანდის შემდგომ სრულყოფას, პარტიული და ეკონომიური განათლების სრულყოფას.

ლენინის დაბადების 106-ე წლისთავს რომ აღნიშნავენ, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები პარტიული და კომკავშირული წევრების, მშრომელთა ეკონომიური განათლების ქსელში აღრმავებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესწავლას, ამასთან ერთად სწავლობენ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მასალებს და ყოველივე ამას მჭიდროდ უკავშირებენ ცხოვრებას, პრაქტიკას, ხუთწლედის ამოცანათა გადაწყვეტას.

ამ ხაზით ამოცანა ის არის, რომ კვლავაც წმიდად ვიცავდეთ იდეოლოგიური მუშაობის ლენინურ პრინციპს, რომელიც მტკიცედ მოითხოვს ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირს, მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას.

წარმატებით რომ დავამთავრეთ მეცხრე ხუთწლედი, ენთუზიაზმით აღსავსენი გადავედით მეათე ხუთწლედში. ეს არის ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი, რომლის ყოველი ბაათი, დღე, კვირა, თვე გაცილებულია სკკპ XXV ყრილობის დიდებული ლენინური გადაწყვეტილებების შუქით. და როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

„...დასახული მიჯნების მისაღწევად ყველამ ბევრი და დაძაბულად უნდა ვიმუშაოთ. თვითეულმა კომუნისტმა, თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა პარტიულმა კომიტეტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. მათ ხორცი უნდა შეესხათ კონკრეტულ დავალებებსა და გეგმებში. უნდა განვამტკიცოთ და შევინარჩუნოთ ის სულიერი განწყობილება, ის შრომითი რიტმი, რაც წარმოშვა საყრილობო შეჯიბრებამ...“

მარქსიზმ-ლენინიზმი მარად ცოცხალი ინტერნაციონალური მოძღვრებაა, რომლისადმი უსაზღვრო ერთგულება წარმოშობს სახალხო ენთუზიაზმს. იგი შრომითი კოლექტივებს რაზმავს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ!

> გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშას!
>
> სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქართველოს კომუნისტთა მოწოდებებიდან

ლენინის მიერ ნაჩვენები გზით

ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

წელს საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მშრომელები ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავს აღნიშნავენ ღირსსახსოვარ დღეებში, რომლებიც გაცისკროვნებულია სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ალანეტის ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კომუნისტების ფორუმის მუშაობამ, რომელმაც დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ანდერძისადმი პარტიის უერთგული ერთგულების ნიშნით ჩაიარა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 21 აპრილს გაიმართა თბილისში. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მრეწველობის ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის მეომრები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. ქიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. ფარეკავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაჩეიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. ფ. ზაური, პარტიის ვეტერანები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

დარბაზის თაყვანცემით გაისმის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეები ტაშის გრიალში იჩიჩვენ საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება სახელოვანი გზის შესახებ, რომელიც საბჭოთა ხალხმა გაიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამხ. პ. გ. გილაშვილმა აღნიშნა, რომ სკკპ XXV ყრილობა მკაფიოდ ადასტურებს ლენინური მოძღვრების გამარჯვებას, მის დიდ ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც ხორცშესხმულია კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ხალხის წარმატებებით.

ყრილობის მუშაობამ და მისი მასალების განხილვამ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ცხადყო ჩვენი რიგების მონოლითური ერთიანობა, სრული ერთსულოვნება პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასებაში, მჭიდრო შეკავშირება პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ვ. ი. ლენინის დაბადების 106-ე წლისთავი აღინიშნება მეათე ხუთწლედის პირველ წელს. მას დამკვრელურად შეეგება საბჭოთა ხალხი. ლენინური დღეების წინ რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, ფართოდება სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. საკავშირო კომუნისტურმა შაბათობამ დაადასტურა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ღრმა პატრიოტული გრძნობები, ცხადყო მათი მისწრაფება — ამრავლონ თავიანთი წვლილი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ამ შაბათობამ საქართველოში ჩაიარა როგორც შრომის სახალხო დღესასწაული, დადასტურა დიადი თაოსნობის ლენინური იდეის ცხოველმყოფელობა.

სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები და სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“. (საინფორმი).

მოლაპარაკება დამთავრდა

21 აპრილს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ლაოსის მოლაპარაკება. მოლაპარაკებას აწარმოებდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ა. ა. გრეჩკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი.

ლაოსის მხრივ — პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კეისონ ფომვიხანი (დელეგაციის მეთაური), ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ფხუნ სპასეტი და სხვ.

მოიწონეს საბჭოთა კავშირ-ლაოსის ერთობლივი დოკუმენტები, რომლებიც მხარეებმა მოამზადეს ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნის პერიოდში და უნდა მოაწერონ ხელი.

მხარეებმა სრული ერთსულოვნება გამოთქვეს განხილულ საკითხებზე.

მოლაპარაკება ჯულიადობისა და ძმური მეგობრობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1976 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, განიხილეს რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინება, მიიღეს დადგენილება, რომ 1976 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ:

1. ჩარახჩიანს ოგანეს ნაზარეთის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, სამუშაოს ხელმძღვანელს, ბაზილევსკაიას ელენეს ალექსანდრეს ასულს, სტოჟკოვს იური ივანეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატებს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, ჩარახჩიანს ტაასია ნიკანორის ასულს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფოს უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგეს, — მზეზე კოსმოსური სხივების აფეთქებებისა და გალაქტიკური კოსმოსური სხივების მზიური მოდულაციის ბრიცესების სტატისტიკურ კვლევისათვის.

2. კრასნოვსკის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის სამეცნიერო ცენტრის მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტის დირექტორს, სამუშაოს ხელმძღვანელს, კუზუბსკის ალექსანდრე ბორისის-ძეს, ოსიპოვს იური სერგის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებს, ლაბორატორიათა გამგეებს, ხუბო�ინს ანდრია იზმაილის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ამავე ინსტიტუტის მუშაკებს, — მართული ხიხტშენის მათემატიკურ თეორიაში ნაშრომთა ციკლისათვის.

3. სემენოვს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, — რთული ქიმიური რეაქციების კინეტიკის დარგში ნაშუშავრებისათვის.

4. ხოგოლევს ვლადიმერ სტეფანეს-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცომბირის განყოფილების გეოლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ხამუშაოს ხელმძღვანელს, ლომრეცოვს ნიკოლოზ ლეონტის-ძეს, სოლოლევს ნიკოლოზ ვლადიმერის-ძეს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორებს, ლაბორატორიათა გამგეებს, რეზვერდაშს ვლადიმერ ვიქტორის-ძეს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ხლესტოვს ვლადიმერ ვასილის-ძეს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, ამავე ინსტიტუტის მუშაკებს, — მეტამორფოზმის ფაციებში ნაშუშავართა ციკლისათვის.

5. სპირინს ალექსანდრე ხერგის-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცილის ინსტიტუტის დირექტორს, გეორგიევს გიორგი პავლეს-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, სამუშაოს ხელმძღვანელებს, სამბარინს ოლგა პეტრეს ასულს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, პიტხოვინს შოთა აბესალომის-ძეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, ბელიცინას ნადეჟდა ვასილის ასულს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ოვჩინნიკოვს ლევ პავლეს-ძეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცილის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — ინფორმოსომების — ახალი კლასის უჯრედშიდა ნაწილაკების აღმოჩენისა და შესწავლის დარგში ნაშრომთა ციკლისათვის.

6. რიბაკოვს ბორის ალექსანდრეს-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, — X-XVI საუკუნეების რუსული კულტურის ისტორიაში ნაშრომების ციკლისათვის, რომლებიც 1968-1974 წლებში გამოქვეყნდა.

7. ანიჩკოვს სერგი ვიქტორის-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, ზაპუსოვს ვასილ ვასილის-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, — ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებათა სინთეტიური მოქმედების დარგში გამოკვლევათა ციკლისათვის.

8. ბუნიატოვსკის ვლადიმერ ივანეს-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ა. ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორს, ბოკერიას ლეონიდ ანტონის-ძეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ბუხარინს ვიტალი ალექსის-ძეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, განყოფილების ხელმძღვანელს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, — მიპერბარული ოქსიგენაციის დარგში გამოკვლევათა ციკლისათვის გულის ქირურგიაში ამ მეთოდის დანერგვისათვის.

9. ბარანოვს ფელიქს გრიგოლის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ტიუმენის ნავთობისა და გაზის მრეწველობის მთავარი საწარმოო სამმართველოს მთავარ ინჟინერს, ბრაინდერს ვალერი ისაკის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, გაერთიანება „თათარნავთობის“ ყოფილ მთავარ ინჟინერს, კარიბსკის ვალენტინ ვლადიმერის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების მინისტრის მოადგილეს, სინელნიკოვს ალექსანდრე ვასილის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ნავთობისა და გაზის მრეწველობის კომპლექსური ავტომატიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორს, გაინუტდინოვს რევგათ სალახის-ძეს, თათარეთის ნავთობის მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის განყოფილების უფროსს, შაშინს ვალენტინ დმიტრის-ძეს, ნავთობის მრეწველობის მინისტრს, — ახალი მეცნიერულ-ტექნიკური გადაწყვეტილებანი და კომპლექსური ავტომატიზაციის საფუძველზე ნავთობმომპოვებელი წარმოების ტექნიკური განახლებისათვის, რამაც უზრუნველყო ნავთობის მოპოვების ზრდის სწრაფი ტემპი.

10. ბაბენკოს ვასილ ტიხონის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, მეტალურგიული მრეწველობის ფოლადის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს, მანუხინს ანატოლი ივანეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, ტულის შავი მეტალურგიის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს, შიშხანინს თემურლენგ სოსლანბეგის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე გაერთიანების მთავარ სპეციალისტს, ლიპაკოვს ნიკოლოზ პავლეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, ი. პ. ბორდინის სახელობის შავი მეტალურგიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, სლობოდინსკი-სიდაკის ნიკოლოზ პეტრეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, მოროზოვს ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, — იმ ახალი ტექნოლოგიის ბაზაზე ვანადიუმის წიდების გადამუშავების სამრეწველო კომპლექსის შექმნისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ვანადიუმის გამოცალკევების მაღალ დონეს და აღკვეთს ჰაერისა და წყლის გარემოს გაჭუჭყიანებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ა. კოსიგინი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ლ. ბრეჟნევი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის 1976 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, განიხილეს რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება, მიიღეს დადგენილება, რომ 1976 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ:

1. ავიძეიშვილს ოთარს კაზისს, ლიტვის სსრ კულტურის დამსახურებულ მოღვაწეს, მწერალს, — რომანისათვის „დაკარგული კერა“.

2. ანდრონიკოვს ირაკლი ლეარსაბის-ძეს, რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, — უკანასკნელი წლების სატელევიზიო ფილმებისათვის: „მოგონება დიდ დარბაზზე“, „კონცერტი ლენინგრადის ფილარმონიაში“, „ანდრონიკოვის სტუდია“.

3. მარკოვს გიორგი მაქსიმეს-ძეს, სოციალისტური შრომის გმირს, მწერალს, — რომანისათვის „ციმბირი“.

4. ოგბარაზოვას ელენე ვასილის ასულს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს, — 1973-1974 წლების საკონცერტო პროგრამებისათვის და სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში დადგმულ ოპერებში „ხიმონ კოტკოში“, „კარმენში“, „ტრუბადურში“ პარტიების შესრულებისათვის.

5. ფარეთელს ზურაბ კონსტანტინეს-ძეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მოღვაწეს, — ბაკურორტო ქალაქ ადლერში სანაკვეშო ზონის სივრცობრივ-დეკორაციული ფერწერული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებისათვის).

6. შუაკეშინს ვასილ მაკარის-ძეს, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს (სიკვდილის შემდეგ) — კინოხელოვნებაში უკანასკნელი წლების შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ა. კოსიგინი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ლ. ბრეჟნევი,

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისში 1976 წლის აპრილში გაბატონებულ მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარებისა და მოსახლეობის ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. ვილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1976 წლის 21 აპრილი,

დიდი იდეური მეამკვიდრეობა

როგორ მუშაობდა ვ. ი. ლენინი ნაშრომზე „კარლ მარქსი“

თავისი ტიტანური თეორიული და ორგანიზატორული მოღვაწეობის 30 წლის მანძილზე ვ. ი. ლენინმა დასწერა ასობით წიგნი და ბროშურა, ათასობით სტატია და წერილი, გამოდიოდა მოხსენებებით და სიტყვებით, საკმარისია ითქვას, რომ მისმა ნაშრომებმა და დოკუმენტებმა, რომლებიც გამოქვეყნებულია მსოფლიოს 127-ზე მეტ ენაზე, საერთო ტირაჟით ნახევარ მილიარდს გადააჭარბა! ვ. ი. ლენინის ნაშრომებებს ამეამად თარგმნილ ლიტერატურაში მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია.

ვ. ი. ლენინის წიგნზე მუშაობის მეთოდის შესწავლა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ღრმად დაეუფლო ცოდნას და როგორ მოახმარო იგი ხალხს. ამ მხრივ საინტერესო ისტორია აქვს ვ. ი. ლენინის ძვირ დაწერილ სტატიას „კარლ მარქსი“ (ჟოკლე ბოგორიფიული ნარკვევი მარქსიზმის გაღმოცემითურთ), რომელიც მან დაწერა მაშინ ყველაზე პოპულარული ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის, რომელიც სკემდა ძმებ ა. ნ. და ი. ნ. გრანატების ამხანაგობა.

1918 წლის მაისში ვ. ი. ლენინი ოავისი ნაშრომის „კარლ მარქსის“ წინასიტყვაობაში წერდა: „სტატია კარლ მარქსის შესახებ, რომელიც ახლა ცალკე ანაბეჭდად გამოდის, ჩემს მიერ დაწერილია (რამდენადაც მახსოვს) 1913 წელს გრანატის ლექსიკონისათვის“. ეს ნაშრომი მაშინ პირველად გამოდიოდა ცალკე გამოცემად, მაგრამ მეთოხველია ფართო წრეები სტატიას გაცლელით უფრო ადრე გაეცნენ. იგი 1915 წელს გამოქვეყნდა ძმები გრანატების ენციკლოპედიური ლექსიკონის 28-ე ტომში.

საინტერესოა ამ სტატიის დაწერის ისტორია. როგორც ცნობილია ის ხანად ვ. ი. ლენინის კრაკოვში ცხოვრობდა. პარიზიდან კრაკოვში ვ. ი. ლენინის გადასვლის ძირითადი მიზეზი იყო რუსეთის საზღვრთან სიახლოვე, ამის შესაძლებლობა, რომ რუსეთში მომუშავე ამხანაგებთან მჭიდრო, თითქმის ყოველდღიური კავშირი დაემყარებინა. დაბადებული მუშაობა ნთქავდა მთელ თავისუფალ დროს. და უცად ვ. ი. ლენინმა წერილი მიიღო ძმები გრანატების ცნობილი ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციიდან, სთხოვდნენ სტატია დაეწერა კარლ მარქსზე და მარქსიზმზე. როგორ მოიქცეს? როგორ ეშოვოს დრო სტატიის დასაწერად? იგი არ ყოფნის ყველაზე სასწრაფო საქმეებისათვის. სტატიის დაწერა კი ადვილი არ არის. მეორე მხრივ, კ. მარქსის შესახებ სტატიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საეჭვოა კიდევ იქნეს ასეთი მოხერხებული საშუალება მოუთხროს ათასობით მკითხველს გენიალურ ადამიანზე და მის მოძღვრებაზე. არა, უარის თქმა არ შეიძლება. ამიტომ პეტერბურგში რედაქციის მდივანს (ცნობილი ისტორიკოსი და ხელოვნებათმცოდნე ა. კ. ჯიველეგოვი) კრაკოვიდან უგზავნის პასუხს:

„დიდად პატივცემულო ბატონო რედაქციის მდივანო! რედაქციის წინადადებას ლექსიკონისათვის დავწერო სტატია მარქსის შესახებ, ვიღებ. გთხოვთ მაცნობოთ, აუცილებელია თუ არა სტატიის ბოლოს ბიბლიოგრაფია. პროსპექტისა და ლექსიკონიდან ამოწმებრებისათვის დიდი მადლობა.

დიდი პატივისცემით ვ. ულინი.
1914 წლის 15 მარტი“.

ვ. ი. ლენინის აზრი, მისი მსჯელობის მსელელობა რომ გაიგო, უნდა ნახო სტატიის გეგმის ფურცლები, ჩაუფიქრდე თვითეულ სტრიქონს, თვითეულ სიტყვას, შეეცადო გაიგო თვითეული ხაზგასმა, ფრჩხილი, სეტეტად დაყოფა და ასე შემდეგ. აქვლაფერი ეს უდიდეს გონებრივ დაძაბვას და ღრმა ანალიზს მოითხოვს.

სტატიის გეგმა ადასტურებს, როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი მარქსისტული თეორიის ბოლამაგანდას, მარქსის ცხოვრებისა და მისი თეორიის პოპულარიზაციას.

ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, როგორც ავტორს, ისე გამომცემლობას ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ მუშაობა წარმატებით დამთავრდება. მაგრამ, მოულოდნელად პოლიტიკურმა მოვლენებმა ისეთი სიტუაცია შექმნა, რომ ვ. ი. ლენინი იძულებული გახდა, სამწუხაროდ, მეიღო სხვა გადაწყვეტილება: — „დიდად პატივცემულო კოლეგავ! — წერდა იგი რედაქციის მდივანს 21 ივლისს მოსკოვში, — ძალიან ვწუხვარ, რომ ბევრმა სრულიად განსაკუთრებულმა და გაუთვალისწინებელმა გარემოებამ (დაწყებული მალნოვსკის წასვლით) დასაწყისშივე შეაწყვეტინა დაწყებული სტატია მარქსის შესახებ, და მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე უშედეგოდ ვცადე გამომეხახა დრო მის გასაგრძელებლად, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ სამუშაოს შემოდგომამდე ვერ შევასრულებ.

დიდ ბოდიშს ვიხდი და იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენი ესოდენ სასარგებლო გამოცემის რედაქცია მოასწრებს მონახოს სხვა მარქსისტი და მისგან ვადაზე მიიღოს სტატია.

სამსახურისათვის მზადმყოფი ვ. ულინი“.

რა მოხდა? რა გარემოებამ აიძულა ლენინი ასეთი მკეთრი გადაწყვეტილება მიეღო? ერთ-ერთი მათგანი ვლადიმერ ილიას-ძემ დასახელა წერილში: „მალინოვსკის წასვლა“. ამ მოვლენაში სათანბრიოში ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელის ღალატის შესახებ, მაგრამ მისმა თვითნებურმა უარმა მუშაობაში მონაწილეობაზე, უამრავი სიძნელე შექმნა. ამავე დროს წყდებოდა ბოლშევიკების მონაწილეობის საკითხი მეორე ინტერნაციონალის ვენის კონგრესსა და ბრიუსელის ამ თათბირზე, რომელიც საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ მოიწვია. ამ საქმეების დიდი ნაწილი ვლადიმერ ილიას-ძეს უნდა შეესრულებინა.

ვ. ი. ლენინის ცნობამ სტატიის დაწერაზე უარის შესახებ შეაშფოთა გამომცემლობა. „თქვენმა დღეკანდელმა წერილმა, რომელიც ჩვენთვის თითქმის იგივეა, რაც უარის თქმა სტატიის „მარქსი და მარქსიზმის“ დაწერაზე, დიდად დაგვაღონა, — წერდა ლენინს რედაქციის მდივანი, — ამან ჩვენ დიდად შეგვაშფოთა... სწორედ ამ სტატიას ეუკავშირებდით ლექსიკონის მთელი ხასიათის რიგ ძალიან დიდმნიშვნელოვან მომენტებს. ჩვენ არ შეგვიძლია დავთანხმდეთ ამ თემის გულგრილ — საშუალო განმარტებას. ჩვენ შუდამ ამისათვის ვიბრძოდით მტკიცედ, რომ მეცნიერულად სერიოზულად და ძლიერი ნაშრომი მიგვეღო“, ეი, სწორედ აქ, ამ სიტყვებშია მოცემული ამის ახსნა გამომცემლობამ თუ რატომ მიიწვია ვ. ი. ლენინი სტატიის ავტორად. გარეგნულად თავაზიან და ოფიციალურ ფრაზებში იგრძნობა, რომ მსოფლიოში უდიდეს ავტორიტეტად ამ დარგში აღიარებული იყო ლენინი, რომელსაც უნარი შესწევდა „მეცნიერულად და სერიოზულად“ დაემუშავებინა თემა, მარქსიზმის შესახებ.

ვ. ი. ლენინის ავტორად შენარჩუნება რომ სურდა, გამომცემლობა ხელნაწერის ჩაბარების ვადის გაგრძელებასაც კი დათანხმდა.

ეს წერილი ლენინს არც კი ჰქონდა მიღებული, ვითარება რომ შეიცვალა, მათგან მთავარი იყო იმპერიალისტური ომის დაწყება. ბევრი რამ ამისგან, რაც დასახული იყო, უნდა გადადებულიყო განუსაზღვრელი დროით და ვ. ი ლენინს კვლავ მიეცა შესაძლებლობა დაემთავრებინა სტატია. იგი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ რედაქციას.

დიდი სიხარულით შეხვდნენ რედაქციაში ამ ცნობას. თითქოს სიძნელეები დაძლეულია. მაგრამ ახალი, უფრო დიდი საფრთხე მოელოდა სტატიის ავტორს და ამით თვით სტატიასაც. 1914 წლის 7 აგვისტოს ავსტრიის ხელისუფლებმა ვ. ი. ლენინი დაპატიმრეს ყალბ დაბეზღებით, რომლითაც ლენინს ბრალად დებდნენ ჯაშუშობას. მხოლოდ საზოგადოებრიობის აქტიური ბრძოლების ტალღამ აიძულა ხელისუფლები გაეთავისუფლებინათ იგი ციხიდან. ლენინმა ნაშრომი უკვე შეეცალიანი დამთავრა.

ამ სტატიის მოცულობა, ენციკლოპედიური ლექსიკონის მოთხოვნიდან გამომდინარე, დიდი არ იყო, სულ 88 დაბეჭდილ გვერდს შეადგენდა (ამდენივე გვერდი უჭირავს სტატიას ლენინის თხზულებათა შეხუთე გამოცემაში).

აღსანიშნავია, რომ გრანატის გამომცემლობამ სტატიის ორი უკანასკნელი თავის დაბეჭდვა ლექსიკონში ცენზურული ბრძოლების გამო ვერ გაბედა. „ამს გარდა შეიტანა ზოგი ცვლილება დანარჩენ ტექსტშიც. ბიბლიოგრაფიიდან ამოიღეს კ. მარქსის ნაწარმოებთა თითქმის ყველა დასახელებათა, არ შეეტანეს ვ. ი. ლენინის რჩევა ფ. ენგელსის ნაწარმოებთა გაცნობის შესახებ, ამოაგდეს ზოგიერთი დახასიათება ბიბლიოგრაფიის მეორე ნაწილიდან, შეეცვალეს ლიტერატურის რაოდენობა, განსაკუთრებით კი მარქსის ნაწარმოებთა რუსული გამოცემები. ამოშლეს ის ადგილიც, სადაც ვ. ი. ლენინი აცხადებს, რომ იგი ავტორებს აჯგუფებს იდეურ მიმართულებათა მიხედვით. ეს რომ გაიგო, ვ. ი. ლენინმა რედაქციის მდივანს მისწერა:

„დიდად პატივცემულო კოლეგავ!

გუშინ მივიღე თქვენი წერილი და გამოგგზავნეთ დებეშა.... — თანახმა ვარ. რაც უნდა სამწუხარო იყოს, რომ რედაქციამ ამოაგდო ყველაფერი, რაც სოციალიზმსა და ტაქტიკას ეხებოდა (უამისოდ კი მარქსი არ არის მარქსი), მაინც უნდა დავთანხმებულიყავ, რადგან თქვენ მიერ წამოყენებული საბუთის წინააღმდეგ („აბსოლუტურად შეუძლებელია“) ვერაფერს გაიწყობთ“.

ხელნაწერი ასაწყობად ჩაბარეს და ვ. ი. ლენინის სტატია „კარლ მარქსი“ 1915 წლის დამდეგს გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონის (გამოცემა მე-7) 28-ე ტომში დაიბეჭდა „ულინის“ ხელმოწერით.

ლენინური შრომისმოყვარეობა წიგნზე მუშაობის, მისი მეთოდი, თავისთავისადმი მომთხოვნელობის ლენინური მიდგომა სანიმუშო მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის და საერთოდ ყველა ადამიანისათვის.

შ. გოგიძე,
დოცენტი.

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკლები და უცხოეთის ჯრების სააგენტოები იტყობინებიან

მაღლობა საბჭოთა ხალხს

ჯანეი, (საკლები). აქ მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის მე-3 სესიამ. მხარეებმა განიხილეს სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის მთელი რიგი საკითხები. სესიაზე აღინიშნა, რომ გაიზარდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით აგებულ სამრეწველო საწარმოთა როლი რესპუბლიკის ეკონომიკაში. კომისიამ დაადასტურა, რომ გადიდდა ორი ქვეყნის საქონელბრუნვა. გაფართოვდა ეკონომიური კავშირურთიერთობა, აგრეთვე შექმნილია თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების ხელშეწყობი პირობები.

კომისიის მე-3 სესიის ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ვ. არხიპოვმა, ვიეტნამის მხრივ — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ლე თხან ნგამ.

გაფიცვა გრძელდება

ტოკიო, (საკლესი). მეორე დღეა პრაქტიკულად შეწყვეტილია მუშაობა იაპონიის ყველა რკინიგზაზე. სახელმწიფო და კერძო რკინიგზების მუშათა პროფკავშირები განაგრძობენ 72-საათიან გაფიცვას. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესებას, სახელმწიფო საწარმო- დაწესებულებებში გაფიცვის აკრძალვის გაუმქმებას. მათ მხარს უჭერენ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკები, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები.

მთელ ღამეს გრძელდებოდა პროფკავშირთა წარმომადგენლებისა და ადმინისტრაციის მოლაპარაკება, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. მეწარმენი უარს ამბობენ დათმობაზე, ცდილობენ იაპონიის ახლანდელი ეკონომიური კრიზისის სიმძიმე მეშრომელებს დააკისრონ, ერთობლივი საგაზაფხულო ბრძოლის მომწყობმა საბჭომ გადაწყვიტა განაგრძოს გაფიცვა.

ჩქმალავენ სინამდვილეს

გამალ აბდელ ნასერის ჟალიუვილის ინტერვიუ

ამანი, (საკლესი). იორდანიის გაზეთმა „ალ-დუსტურმა“ დაბეჭდა ეგვიპტის განსვენებული პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის ქალიშვილის ჰოდა აბდელ ნასერის ინტერვიუ. ეგვიპტეში მამაჩემზე თავდასხმა, გაწაცხადა მან, დაიწყო მისი სიკვდილისთანავე. თავდასხმელთან ეს კამპანია გაიშალა ვიწრო წრეში, შემდეგ კი ფართო, აშკარა და ოფიციალური ხასიათი მიიღო. ამ თავდასხმების მიზანი იყო მოესპოთ ეგვიპტის პირველი პრეზიდენტის იდეოლოგიური და პოლიტიკური მემკვიდრეობა, მისი არსი და ის შედეგები, რომელებსაც მიაღწიეს ეგვიპტის რევოლუციის 18 წლის მანძილზე. ასეთ კამპანიას, თქვა ჰოდამ, მარცხი ელის, რადგან ეგვიპტელი ხალხი დიდად აფასებს იმას, რაც პრეზიდენტმა ნასერმა გაუკეთა თავის ხალხს.

ნასერის საწინააღმდეგო კამპანიის მიუხედავად, განაცხადა ჰოდამ, ეგვიპტეში და ბაზარდა ნასერის მომხრეთა რიცხვი, განსაკუთრებით მუშათა და სტუდენტთა შორის. ხელისუფალი ცდილობენ ჩაახშონ ეს მოძრაობა.

უპასუხა რა გაზეთის კითხვას, თუ რა აზრისაა ეგვიპტელი ხალხი ნასერის საწინააღმდეგო კამპანიის შესახებ, ჰოდამ თქვა: ყოველივე ის, რაც ახლა ხდება ეგვიპტეში, ალბათ, გაუგებარია არაბი ხალხებისათვის, რადგან ისინი ამ მოვლენებს აფასებენ ეგვიპტის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის პრიზმით. საქმე ისაა, ვინ არის ნასერის მომხრე ან მოწინააღმდეგე: 37 მილიონი ეგვიპტელიდან უმრავლესობა მხარს უჭერს ეგვიპტის რევოლუციას, რომელსაც სოციალისტური მიმართულება აქვს.

ეგვიპტის ახლანდელი ხელმძღვანელობის მისწრაფებას — დააკნინოს განსვენებული პრეზიდენტის ნასერის როლი, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ჰოდამ, საფუძველად უდევს აშკარა მონაპორი.

ჟურნალისტი

ჟორჟ ბოგორიანი

ამერიკის ამბავი

ჟურნალისტ ალ ბოგორიანის

კორესპონდენციანი ლონდონიდან

აქ მუშაობდა ლენინი



ლონდონი, (საკლესის კორ.). ინგლისის დედაქალაქში არის ისტორიული ადგილი, რომელიც ყოველთვის როდი შეაქვთ ხოლმე ქალაქის ოფიციალურ გზამკვლევში. „მარქსის სახლი“ წარწერილია ლონდონის კლერკენუელ გრინის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ორსართულიანი შენობის ფასადზე. ოდესღაც აქ ჩარტისტები იკრიბებოდნენ. „რადიკალთა კლუბის“ კრებებზე ამ სახლში ბევრჯერ გამოსულა კარლ მარქსი. ხოლო 1902-1903 წლებში აქ მიმდინარეობდა მუშაობა ლენინური „ისკრის“ რედაქტირებაზე.

ამ წლებში ლონდონში ცხოვრობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ეს იყო მისთვის დაძაბული და ნაყოფიერი შრომის ხანა: ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის, გაზეთის გამოცემა, მეცნიერული მუშაობა ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში.

კლერკენუელ გრინის ქუჩაზე მდებარე სახლში (სურათზე) შემორჩენილია პატარა, ერთფანჯრიანი ოთახი, რომელშიც ვლადიმერ ილიას-ძე კითხულობდა და ასწორებდა გაზეთს. აქ გამოურულია მემორიალური დაფა, რომელზეც წარწერილია: „ლენინი, სსრ კავშირის — პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი, ამ ოთახში 1902-1903 წლებში არედაქტირებდა „ისკრას“. კედელზეა გაზეთის პირველი ნომერი ლ. ილიჩის პორტრეტი.

1933 წელს სახლი იყიდეს ინგლისელ მშრომელთა მიერ შეგროვილი სახსრებით. აქ მოეწყო კარლ მარქსის სახელობის მემორიალური ბიბლიოთეკა.

თუმცა ბიბლიოთეკის მისამართს ძნელად იპოვით საცნობარებსა და გზამკვლევებში, თქვა ჯაკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში კარლ მარქსის სახელობის ბიბლიოთეკის საბჭოს თავმჯდომარემ ე. როტშტეინმა, მაგრამ აქ მოდიან მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები. მკითხველებს შეუძლიათ ამ ბიბლიოთეკაში გაეცნონ ლიტერატურას მარქსიზმ-ლენინიზმის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელ რიგ საკითხებზე, კერძოდ, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიის საკითხებზე. აქ რეგულარულად ეწყობა კონფერენციები, დისკუსიები, გამოფენები არა მარტო ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველებისათვის, არამედ იმათთვისაც, ვისაც ეს პრობლემები აინტერესებთ.

აქ ხშირად მოდიან, თქვა ე. როტშტეინმა, სახლგარეთელი სტუმრები, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან და სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან. მოდიან იმიხათვის, რომ დაათვალიერონ სახლი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშათა მოძრაობის ისტორიასთან, ნახონ ოთახი, სადაც იწვა პირველი საერთო-რუსული მარქსისტული გაზეთი.

ა. სტეპანენკო.

ჩაბარდა ინტერვენციის ბოლო ციხე

ტოკიო, (საკლესი). ინდოეთ-ბანგლადეშის ომის ბოლო ციხე ჩაბარდა ინდოელ ჯარისკაცებს. ინდოეთ-ბანგლადეშის ომი ინდოეთ-პაკისტანის ომის ერთ-ერთ ეპიზოდად ითვლება. ინდოეთ-ბანგლადეშის ომი ინდოეთ-პაკისტანის ომის ერთ-ერთ ეპიზოდად ითვლება.

ბანკიერ ბიზნესმენთა ბრალდებულ სკამზე

**ბანკიერ ბიზნესმენთა ბრალდებულ სკამზე ბანკიერ ბიზნესმენთა ბრალდებულ სკამზე

ქართველი მწერლები-ხუთწლედის მხარდამჭერ

ცხოვრების შუაგულში

დღეს გაიხსნება საქართველოს მწერალთა VIII ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მწერლები დღეს თავიანთ მორიგ ყრილობაზე იკრიბებიან. ხუთი წელი, რომელმაც საქართველოს მწერალთა წინა ყრილობიდან დღემდე განვლო, აღსავსე იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით ჩვენი ხალხისა და მწერლობის ცხოვრებაში.

ჩვენს ხალხს უხდებოდა თავდადებული ბრძოლა არა მარტო ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ეკონომიკასა და სახალხო მეურნეობაში, არამედ იმ დიდი ზნეობრივი განწმენდისათვისაც, რომელიც დღის წესრიგში ეხოდენ აუცილებელ მოთხოვნილებად თვითონ ცხოვრებამ დააყენა.

ჩვენი ხალხის ცხოვრების მართალ მატიანედ აღიარებულმა ქართულმა მწერლობამ ამ დიდი გამოცდის წლებშიც გაამართლა თავისი მოწოდება.

მართალი მატიანე

იგი ერთსულოვნად დადგა იმ განახლებისა და გაჯანსაღების მხარეზე, რომელმაც ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა და რომელსაც ბოლშევიკური პრინციპულობით ანხორციელებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მწერლობამ თავისი ადგილი მოძებნა ხუთწლედისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში და როცა ეს ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა, როცა შესაძლებელი შესაძლებლად იქცა და ჩვენმა რესპუბლიკამ ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულება იზეიმა, ქართულმა მწერლობამაც, მთელს ჩვენს ინტელიგენციასთან ერთად, პარტიისა და ხალხის მადლობა მოიმოკო ამ გამარჯვებაში შეტანილი წვლილისათვის.

განვლილი ხუთი წელი დიდად ნაყოფიერი იყო ქართული მწერლობისათვის: შეიქმნა მნიშვნელოვანი ახალი რომანები, გამოცოცხლდა ილიასა და აკაკის სამოქალაქო ლირიკის, მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციური ლირიკის ტრადიციები, ხუთწლედის სამსახურში ჩადგა ისეთი ოპერატიული ჟანრები, როგორიც არის ნარკვევი, პუბლიცისტიკა და მხატვრული რეპორტაჟი.

ქართული მწერლობა ცხოვრობდა იმ დიდი მღელვარებით, რომლითაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მთელი ჩვენი ხალხი ცხოვრობდა და იბრძოდა.

ქართული მწერლობის ხმა ქართველი ხალხის ხმა იყო და ეს ხმა მძლავრად ეღერდა მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურის დიდებულ ანსამბლში.

ჩვენს მერვე ყრილობაზე ფართოდ იქნება გაანალიზებული ქართული მწერლობის ხუთი წლის ნაღვაწი. დაისახება ახალი გზები იმისათვის, თუ როგორ უკეთ ემსახუროს ჩვენი ლიტერატურა ჩვენს მშობელ ხალხს და მის ავანგარდს — კომუნისტურ პარტიას. დიდი, სერიოზული ლაპარაკი იქნება არა მარტო იმაზე, რაც გაკეთდა, არამედ იმაზედაც, რაც ვერ გავაკეთეთ და რის გაკეთებასაც სამშობლო ელის ჩვენგან.

ქართული ლიტერატურა პასუხისმგებელია ჩვენი ეროვნული თეატრებისა და კინემატოგრაფის მდგომარეობისათვის, ჩვენი კლასიკისა და თანამედროვე მწერლობის გატანისა და პროპაგანდისათვის მოძმე და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე.

ჩვენ საქმიანად ვილაპარაკებთ ყველა ამ პასუხისმგებლობაზე. საქართველოს მწერალთა მერვე ყრილობა იმუშავებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებით აღფრთოვანებული. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მადლობა და გულთბილი სიტყვები მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისადმი ამ ლიტერატურის ერთ-ერთ მოწინავე რაზმსაც, ქართველ მწერლობასაც ეხება და ჩვენი მწერლობა მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ პარტიისა და ხალხის ეს სიყვარული გაამართლოს.

ქართული მწერლობა, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, ერთგულია ლენინური კურსისა, რომელიც განუხრელი პრინციპულობით ტარდება ჩვენს რესპუბლიკაში, ერთგულია იმ მაღალი მორალისა და იდეალების, რომელთა გამარჯვებისათვის ბრძოლაში ცოტა მსხვერპლი როდი აქვს გადეფული ქართველ ხალხს, მის რევოლუციურ თაობებს და მათ დღევანდელ მემკვიდრეებს — კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს. ხალხისა და პარტიის წინაშე პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით შეუდგება დღეს მუშაობას ქართველ მწერალთა ყრილობა.

წარმატება ვუსურვოთ მას!

გრიგოლ აბაშიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

სურათზე: საქართველოს მწერალთა VIII ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): თ. ბუაჩიძე, ვ. ჭელიძე, მ. კახიძე, მ. ელიოზიშვილი, გრ. აბაშიძე, შ. ნიშნიანიძე, ნ. დუმბაძე, რ. ჯაფარიძე, ი. ონიაშვილი, ლ. ხულაბერიძე, ნ. გურეშიძე, ფ. ხალვაში.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ხალხის გულისთქმა

ჩვენ შეგაბიჯეთ ახალ, მეათე ხუთწლედში, რომელსაც დიდი ისტორიული მისია აქვს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელება. ჩვენი ხალხის დიადი საქმენი, მისი რევოლუციური ბრწყინვა, კომუნისტური საზოგადოების შენების მკაფიო, ნათელი პერსპექტივები დაგვისახა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში, რომელშიც მოცემულია ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ღრმა, მეცნიერული ანალიზი.

როცა გავყურებთ აფხაზური ლიტერატურის მიერ განვლილ გზას აფხაზი მწერლების IV ყრილობის შემდეგ, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ლიტერატურა მხარდამხარ მიჰყვებოდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, რომლის მნიშვნელოვანი მომენტები იყო საბჭოთა კავშირის შექმნის ორმოცდამეათე და ფაშიზზე გამარჯვების ოცდამეათე წლისთავები.

ჩვენს რესპუბლიკის დიდ კულტურულ-საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოვლენად იქცა ზეიმი, რომელიც მიეძღვნა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას დაბადების მეასე წლისთავს. ზეიმები გაიმართა მოსკოვში, თბილისში, სოხუმში, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სოფლებში. თბილისში საძირკველი ჩაეყარა გულიას ძეგლს. ამგვარად ჩვენი ზეიმი თავისთავად მთელი საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის ზეიმად იქცა.

გულიასადმი მიძღვნილ ზეიმებს გარდა აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაატარა: აფხაზური ლიტერატურის კვირეული ოდესაში, ოდესის მწერალთა დეკადა აფხაზეთში, აფხაზური ლიტერატურის კვირეული ზაპოროჟიეში, უკრაინული ლიტერატურის კვირეული აფხაზეთში, თბილისის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა სტუმრობა სოხუმში, აფხაზური პოეზიის საღამოები ქუთაისსა და ცხაკაიაში, აგრეთვე აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში...

მთავარია დღევანდელობა

ზეიმლება გადაუკარბებლად ვთქვათ, რომ ქართულ პუბლიცისტიკას დღეს აკადემიკოს კაკაბაძის ორგანიზაცია და საამაყოდ აღიარებულ ნაწარმოებთა ავტორები ჰყავს. ჩვენ სიამაყით და ამაყოფილებთ ; მიგდიგართ მშობლიური მწერლობის პორეგ საამაყო ფორუმზე.

თავისუფალი, ბედნიერი სამშობლოს ნამდვილ ატ ტრონსა და ბომბაგეს — მბრძოლ კაცს უმღერიან დღეს აკადემიკოს პოეტები ბაბა ვარშანიძე, ნანა გეგეჭკორი, ნესტორ მალაზონია, გიორგი სალუქვაძე, ზურაბ გორგილაძე, ჯემალ ქათამაძე, ქსენია მკავი, ფოთა ზოიძე, ლადო სეიდიშვილი, შეინ დგიგიანშე და სხვები.

ახალი ძალით და ფანგონ ებმიანება დღევანდელობას ბარმენ ლორიას კალამი. რესპუბლიკაში და მის გარეთაც იცნობენ ა. ჩხაიძის, შ. როყვას, ა. შერვაშიძის, ა. სამსონიას პროზაულ და დრამატულ ნაწარმოებებს.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში, ხოლო მერე მოსკოვშიც რუსულ ენაზე გამოიცა ჯემალ ჯაყულის „მუშაჯარი". ამ ლეგენდაში კი მკითხველმა მიიღო იუსტე ფალავას ისტორიული, მაგრამ თავისი ეროვნულობით ფრიად თანამედროვე რომანი „წინაპართა აჩრდილები". ახალი მოთხრობებით გაგვახარეს მ. გორგილაძემ, ნ. მოდებაძემ, გ. ლორთქიფანიძემ, ნ. ძირკვაძემ.

ახლა შეუძლებელია ყველა ავტორზე სახუბარი, მაგრამ ძინდა აღვნიშნო ისინი, ვინც ყრილობაზე პირველი წიგნით მივიდა, კერძოდ, ც. ანთაძე, რ. თებიძე, ლ. ანანიძე, ჯ. ხოფერია, ვ. ახვლედიანი, ჯ. ჯიჯეიშვილი.

დიახ, ჩვენ გარკვეული მიღწევები გვაქვს, მაგრამ არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ ჩვენს ნაკლოვანებებზე. ბათუმში დასტამბული ნაწარმოებების ერთი ნაწილი დაბალხარისხოვანია. მთავარი ნაკლი, ჩემის აზრით, ცხოვრების ; უცოდინარობით არის გამოწვეული. ახალგაზრდა ავტორები ჩვენშიც და თბილისშიც ხშირად ძალიან ადვილი გზებით შედიან ლიტერატურაში. ისინი ერდებიან შრომისა და ბრძოლის იმ აუცილებელ ეტაპებს, რომელთა გაუელელად ძართალ, ამაღლებელ, დამაჯერებელ სიტყვას ვერ იტყვი. ჩვენი ნაოლი და ლამაზი დღევანდელობა კი სწორედ ცხოვრების შუაგულსაკენ გვეძახის. აი, დაახლოებით ამგვარი საქმეებით, ფიქრებით და იმედებით მოვდიგართ ქართველ მწერალთა ყრილობაზე.

ფრიდონ ხალვაშიი,
საქართველოს მწერალთა აპარის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი.

მთავარია

საქართველოს მწერალთა წინა ყრილობიდან დღემდე განვლილ პერიოდში ჩვენი მკითხველის წიგნის თაროს ქართველ მწერალთა ბევრი კარგი წიგნი შეემატა. შეიქმნა ახალი რომანები, მოთხრობები, ლექსები, პოემები, პიესები, ნარკვევები, რომელთა უმრავლესობა ხუთწლედის გმირის — ჩვენი სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის მოწინავე ადამიანების განზოგადებული სახის შექმნას მიეძღვნა. მკითხველთა ფართო პოპულარობა მოიპოვა გამომცემლობა „მერანის" სერიამ „ქართველი მწერლები — ხუთწლედის მხარდამხარ" (სურათზე მარჯვნივ), აგრეთვე მოთხრობებისა და ნარკვევების ვრცელმა კრებულმა „შრომის დიდებამ" („მერანი").



ეროვნული სასწავლებლებს

მწერლობა უპირველესი მემატიანეა ერის ცხოვრებისა. ცხოვრების მემატიანემ მართალი, მიუკერძოებელი სიტყვა უნდა თქვას თავისი დროის ყოველ ღირსშესანიშნავ ამბავზე, თქვას ნათლად, ხატოვნად, გასაგებად, — ისე, რომ მის ნათქვამში ისე აისახოს სინამდვილე, როგორც სარკეში.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მწერლების უმეტესობა კეთილსინდისიერად მუშაობდა, ქმნიდა ნაწარმოებებს, რომლებიც ასახავენ ჩვენს სინამდვილეს, მშრომელი კაცის ყოველდღიურ ცხოვრებას, მის სულიერ სამყაროს თავისი სირთულეებითა და წინააღმდეგობებით. ჩვენი მწერლები ახლა უფრო მტკიცედ სწვდებიან ადამიანის სულს, მის აზრებს, იმას, თუ რით ცხოვრობს იგი დღეს, რისკენ მიისწრაფვის.

ოსურ მხატვრულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ცოტა იწერება მუშათა კლასის თემაზე. ამიტომაც ინტერესით შეხვდა მკითხველი გიორგი ძუკაევის ახალი რომანის „ოქროს საბადოს" გამოჩენას, რომელშიც დამაჯერებელი მხატვრული სახეებით ნაჩვენებია კვიისელი მაღარელების ცხოვრება. გამოქვეყნდა ნაფი ჯუსოითის ფსიქოლოგიური მოთხრობა „ადამიანის სიკვდილი." აკბრო, ღრმად ჩაწვდა თავის გმირთა შინაგან სამყაროს.

„ახალი რომანები, მოთხრობები გამოსცეს ვლ. გაგლოევმა, ხ. ხაჩიროვმა, ა. ბუკულოვმა, მ. გაბულოვმა, ნიგმ, ზ. კაბისოვმა, მ. გეჩმაზოვმა, მ. ბულკაევმა...

ჩვენი მწერლობის ფორუმს ახალი ლექსებისა და პოემების კრებულებით შეეგებნენ პოეტები გაფეზი, რ. ასაევი, ი. ფლიევი, ხ. ძუბათი, ი. ქიზაევი, ლ. ხარებოვი, გ. კოდალაევი, რ. თედეევი, ა. ფუხაევი. გიორგი ბესოთაუთიმ კი გამოსცა „ვეფხისტყაოსნის" ახალი თარგმანი.

რის გაკეთებას ვფიქრობთ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს მუშაობაში?

უპირველესად, სამხრეთ ოსეთის მწერლებმა უნდა ვიზრუნოთ მხატვრულ ოსტატობაზე, ლიტერატურული კრიტიკა უნდა გახდეს ჩვენი მწერლობის ტონუსის მიმცემი. დრამატურგმა თავი უნდა დააღწიოს ვიწრო ჩარჩოებს. დიდი ცხოვრების სუნთქვა უნდა ისმოდეს ჩვენი სტრიქონებიდან, ამიტომ ყურადღება უნდა მივაპყროთ ჩვენი დროის პეროიკას, ზმირად გავიდეთ სამრეწველო და სამშენებლო ობიექტებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ასლოს გავეცნოთ წარმოების მოწინავეებს, მყარი კონტაქტი დავამყაროთ მათთან, ჩაგვეთ მათი სულის კუთხე-კუნჭულს, რათა შევძლოთ ყველას დავანახოთ ის სულიერი ძვრები, რასაც განიცდის ჩვენი დღეების გმირი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე.

კოსტა მარგიევი,
საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ეროვნული

... ქართველ

... ...

... ...

... ...

სურათებზე: ლენინური პრემიის ლაურეატი ზურაბ წერეთელი თავის სახელოსნოში (ს. კილაძის ფოტო); მარჯვნივ—ადლერის საკურორტო ქალაქის საბავშვო ზონის გაფორმების ორი ფრაგმენტი.

ქართველი მხატვრის ალიარება



„ეროვნული ცნობა მოვიდა... საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ზურაბ წერეთელს ლენინური პრემია მიენიჭა საკურორტო ქალაქ ადლერში საბავშვო ზონის სივიცოცხლე დეკორაციული გადაწყვეტისათვის (პრემია საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში).

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია მხატვარს, მიეულოცა დიდი წარმატება და სთხოვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის გაეზიარებინა თავისი სიხარული.

— დღეს ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგანაც ასე დიდად დამიფასდა მოკრძალებული წვლილი ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში. რაღა თქმა უნდა, ამ დიდ ჯილდოს მე მთელს ქართულს მხატვრობას ვაკუთვნებ, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანს დიდი წარმატებები მოიპოვა. ბოლო წლების საბჭოთა სახვითს ხელოვნებაში წინა პლანზეა წამოწეული დეკორაციულ-მონუმენტური დარგი და ეს გასაგებია, რადგანაც მას ჩვენი ქალაქებისა თუ სხვა დასახლებული ადგილების გაშენების რეკონსტრუქციის საქმეში დიდი ადგილი ეთმობა. საბჭოთა მოქალაქეს რომ ლამაზი, ხალისიანი გარემო შეექმნას — ეს საპატიო ამოცანაა და მის გადასაწყვეტად ჩვენს მონუმენტალისტ მხატვრებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

ადლერის მხატვრული კომპლექსი ბავშვებისთვის არის გამიზნული და მე ვცდილობდი ამ მშვენიერ ბუნებაში მათთვის ლამაზი, ამაღლებული გარემო შემექმნა, სადაც ისინი ერთობიან და ამავე დროს უშუალო კონტაქტს ამყარებენ ხელოვნების ნაწარმოებთან.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მხატვარმა მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა. ჩვენ, ხელოვნების მუშაკები ვალდებულნი ვართ მხარში ამოვუდგეთ ყოველ კარგ წამოწყებას. ჩემი მხრივ, არ დავზოგავ ენერგიას, ძალას, რომ მთელი ჩემი შემოქმედებითი უნარი მოვახმარო ჩვენს ხალხს, ქვეყანას, პარტიას.

სიახლე

„ნაპერწკალი-110“

ეს ელექტრონული კლავიშიანი გამოსათვლელი მანქანა სწრაფად და უშეცდომოდ ასრულებს საალრიცხვო-სტატისტიკურ და უბრალო საგეგმო-ეკონომიურ გაანგარიშებას. ყველა ეს ოპერაცია სრულდება სასვენი ნიშნების დაცვით, თვითეულ ოპერაციას წამის მეასედები ჭირდება. ამ მანქანის მასობრივი წარმოება დაიწყო თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელვამ“.

ორლიანდაგიანი რკინიგზის გვირაბი

გაპყავთ ამიერკავკასიის რკინიგზის მცხეთა-ზაჰესის გადასარბენზე. მას აგებენ „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს მშენებლები. გვირაბის სიგრძე ერთ კილომეტრს აღემატება.

14-სართულიანი პანსიონატი „მშენებელი“

იგება ქობულეთის რაიონის კურორტ ბობოყვათში. უკვე დამთავრდა მთავარი კორპუსის მშენებლობა. დამსვენებელთა განკარგულებაში იქნება კომფორტული ნომრები, სასადილო, დასასვენებელი დარბაზი, საბილიარდო, ბიბლიოთეკა. ყველა ნომრის ავენები და ფანჯრები ზღვას გადაჰყურებს.

ახალი საწარმოო კორპუსი

აიგო თელავის აბრეშუმ სახვევსაძახავი ფაბრიკის ტერიტორიაზე. აქ დაიდგმება თანამედროვე მოწყობილობა, დამონტაჟდება მძლავრი საკონდიციონო დანადგარები. მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ბევრად გაუმჯობესდება მუშათა შრომის პირობები, ხუთი პროცენტით გაიზრდება ფაბრიკის სიმძლავრე.

ოთხასი საწოლისათვის

გათვალისწინებულია ახალი საავადმყოფო, რომლის მშენებლობა დაიწყო ტყიბულში. ეს იქნება თანამედროვე შენობა მოხერხებული და ნათელი პალატებით, კაბინეტებით, ლაბორატორიებით, საოპერაციო რთახებით, რომლებიც აღიჭურვება უახლესი სამედიცინო მოწყობილობით.

ახალი კეთილმოწყობილი მიკრორაიონი

იქმნება თბილისის ლენინის მალავში. მაღლივი საცხოვრებელი სახლების გვერდით აქ აშენდება საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სახოგადოებრივი კვების საწარმოები, მაღაზიები, საბავშვო ბაღ-ბაღები, სკოლა.

კომფორტული ავტოვაგზალი

გადასცეს ექსპლოატაციოდ დიდუბეში, თბილისში. აქ შექმნილია ყველა პირობა მგზავრებისათვის, რომლებიც აქედან გაემგზავრებიან დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში.

დიდმწარმოებლური ქალალდსაკეთებელი მანქანა

გადასცეს ექსპლოატაციოდ ენგურის ცელულოზა-ქალალდის კომბინატში. იგი დაამზადეს იეკატერინბურგის ქალალდსაკეთებელი მანქანების ქარხანაში. მის დამონტაჟებაში მონაწილეობდნენ ლენინგრადელი სპეციალისტები. აგრეგატის სიმძლავრეა 20 ათასი ტონა საწერი და გასახვევი ქალალდი წელიწადში.

ამ დღეებში

ხელვაჩაურის საკოლმეურნეობათაშორისო მებოსტნეობის მეურნეობის ხათბურებში კატრის პირველი მოსავალი მოიწევს. კატრი სარეალიზაციოდ უკვე გაეგზავნა მაღაზიებს.

წელს მეურნეობაში 200 ტონა კატრსა და პამიდორს მოიწევენ.

ქალაქის სპორტსმენებისათვის

მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში ექსპლოატაციოდ გადასცეს უახლესი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი ახალი სპორტის სახლი. აქ ვარჯიშობენ კალათბურთელები, ფრენბურთელები, მოცურავეები და ტენისოვარჯიშეები. (საქინფორმი).

წიგნის თარო

გამოფენა „პრავდამ“ ქალაქ ბრატისლავაში (ჩეხოსლოვაკია) სლოვაკურ ენაზე გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგის, პროფესორ ა. ბეგიაშვილის წიგნი „შემეცნების საწყისის პრობლემა ბ. რასელთან და ე. ჰუსერლთან“, რომელშიც მოცემულია დასავლეთის XX საუკუნის ფილოსოფიის ორი დიდი წარმომადგენლის მოძღვრების კრიტიკული ანალიზი.

გამომცემლობის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მეცნიერის წიგნი დიდწინაშენელოვანი წვლილია მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში. გამოკვლევა შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და დიდად საინტერესოა.

(საქინფორმი).

ნაზი თარგამაძე — „ვინ არის ამის მხატვარი“. პოეტი ქალის ამ მეორე წიგნში თავმოყრილია უკანასკნელ წლებში დაწერილი საბავშვო ლექსები და პოემა „უშნო ხაძვის ხე“. წიგნი „ნაკადულმა“ გამოსცა. იგი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის არის განკუთვნილი. ფასი — 8 კაპ., რედაქტორი — ჯ. ბაჯელიძე.

ოთარ კანდელაკი — „იმედი“. პოეტის ლექსების პირველი წიგნი „მერანმა“ გამოსცა. იგი 54 გვერდს შეიცავს და 17 კაპიკი ღირს. რედაქტორია ერ. ქარელიშვილი.

„ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“. შეადგინა რ. შამელაშვილმა. ლექსიკონში, რომელიც „განათლებამ“ გამოსცა, ენათმეცნიერების ყველა დარგის 2.000-ზე მეტი ტერმინია შესული.

წიგნი 196 გვერდს შეიცავს, ფასი 49 კაპ., რედაქტორი — ალ. ღლონტი.

რამდენიმე

ამბების ყულაბა

სტრიქონით

უძველესი პროფესია

როგორც ამერიკელი მეცნიერები ჰარისი და ისკანდერი ამტკიცებენ, დედამიწაზე უძველესი პროფესია სტომატოლოგიაა. ოცდაათი წლის წინათ ეგვიპტის ტერიტორიაზე ერთ-ერთი სამარხის გათხრის დროს აღმოაჩინეს ადამიანის სამი კბილი, რომლებიც ერთმანეთთან ოქროს მავთულით იყო დაკავშირებული. ამ ნაპოვნის მნიშვნელობის საბოლოო „გაშიფვრა“ მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი: ჰარისმა და ისკანდერმა დაამტკიცეს, რომ ეგვიპტის ნაპოვნი სხვა არაფერია, თუ არა პირველი კბილის ხიდი, რომელიც უძველეს ოსტატს დაუმზადებია 4.500 წლის წინათ.

საშიშო მსგავსება

მეუნხენის ზოოპარკიდან წლინახევრის მგელი გაიქცა. მის ძებნაში 36 პოლიციელი მონაწილეობდა. და რაოდენ დიდი იყო მათი გოცება, როცა დიდი ხნის ძებნის შემდეგ, იგი ვიღაც ქალის გვერდით დასკუბული დაინახეს, რომელსაც მანდილოსანი თავზე ხელის გადასმით ეალერსებოდა „მე შინ ზუსტად ასეთი ძალლი მყავს“ — შშვიდად უპასუხა ქალმა პოლიციელებს.

სპეციალური თოფის გასროლით „წესრიგის დამრღვევი“ დაძინეს და კვლავ ზოოპარკში მოათავსეს. „იმ ქალს ბედმა გაუღიმა, — უთხრა ჟურნალისტებს ზოოპარკის დირექტორმა. — მგელი ახე თვინიერად მხოლოდ იმიტომ მოიქცა, რომ მან ხადღაც მოასწრო საუზმის მირთმევა“.

ახალი ამბების სააგენტო.

სამი გოგო და სამი ბიჭი

როგორც ლონდონიდან საკვლევის კორესპონდენტი იუწყება, ინგლისის ქალაქ ნიუკასლის ერთ-ერთ საავადმყოფოში 14 აპრილს უჩვეულო ამბავი მოხდა: 30 წლის კრისტინ პრაისმა შობა სამი გოგო და სამი ბიჭი. ექიმების ცნობით, ახალდაბადებულთა ჯანმრთელობას ჯერჯერობით საშიშროება არ ემუქრება. დედაც თავს კარგად გრძნობს.

საბჭოთა სამხრეთ ოსეთი დღეს

ახალშენებლობებზე

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ბ. თედეევი

□ **ხეითის** მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა დამთავრდა. იგი განკუთვნილია 50.000 კვერცხმდებელ ქათმისათვის. ამ კომპლექსს ორმოცდაერთა ნაგებობა აქვს. ცალკეა სინკუბაციონ, საწოწილე, კვერცხმდებელი და სასუქი გასაყიდელები. ამ ფაბრიკის ექსპლოატაციაში გაშვებით ფრინველს ხორცითა და კვერცხით მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა.

□ **დამთავრდა** ვარიან-ცხინვალის წყალსადენის მშენებლობა. ამ-ქამად მიმდინარეობს წყალსაქაჩი სადგურის გაწყობა. მაისში ცხინვალელები უკვე მიიღებენ ვარიანის წყაროს წყალს და ქალაქი მთლიანად დაკმაყოფილდება სასმელი წყლით.

□ **ოლქის** ერთ-ერთი უდიდესი წყალსაცავის — ზონკრის მშენებლობაზე უკვე დამთავრდა საირიგაციო ვერიბების გაყვანა. ამ-ქამად დაკვირვები ტემპით მიმდინარეობს კაბელის მშენებლობა. ეს ნაგებობა მიმდინარე ხუთწლედში დასრულდება.

□ **მშენებელთა** კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ცხინვალში გაიხსნა პროფტექნიკური სასწავლებელი. ამ-ქამად სასწავლებელი ეგზავლება პირველი ნაკადის გამოსაშვებად. სულ სასწავლებელში 235 მოსწავლეა, რომლებიც პრაქტიკას გადიან ცხინვალის სხვადასხვა მშენებლობებზე.

ჯანმრთელობის ახალი კერა

ცხინვალში გაიხსნა 600 საწოლიანი სომატური საავადმყოფო

□ **რაც** დღე გადის სულ უფრო უმჯობესდება მშრომელთა სამედიცინო მომსახურება სამხრეთ ოსეთში. თუ რევოლუციამდე აქ არ იყო არცერთი სამედიცინო დაწესებულება, ახლა ოლქის რაიონულ ცენტრებში, დაბებში და სოფლებში საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, აფთიაქების ფართო ქსელია.



ქალაქ ცხინვალში ახლახან გაიხსნა ახალი სომატური საავადმყოფო 600 საწოლით. იგი თანამედროვე ხამმულო და ხაზლვარგარეთის სამედიცინო აპარატურით არის აღჭურვილი. საავადმყოფო მთლიანად ადგილობრივი კადრებით — ექიმებითა და მედიცინის დებით არის დაკომპლექტებული. მას აქვს თერაპიული, ქირურგიული, ნერვიული, ტრავმატოლოგიური და სხვა განყოფილებები, რენდგენოლოგიის კაბინეტი, ბიოქიმიური ლაბორატორია.

* * *

სურათზე: ქირურგიულ განყოფილებაში ექიმები ეცნობიან ახალ აპარატურას; ახალი სომატური საავადმყოფო ცხინვალში.

მკურნალობის ახალი მეთოდები

განიხილავენ თერაპიის აქტუალურ პრობლემებს

დღეს, 22 აპრილს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელიც განიხილავს შინაგანი მედიცინის სამ ძირითად პრობლემას, კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის არასპეციფიურ და ღვიძლის მძიმე დაავადებათა პათოგენეზის, — ეს საპატიო ამოცანაა და მის გადასაწყვეტად ჩვენს მონუმენტალისტ მხატვრებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

სესიის გახსნის და საერთო შემაჯამებელ მოხსენებას — თერაპიის ინსტიტუტში კარდიოლოგიურ პრობლემებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებათა და ჩატარებულ გამოკვლევათა შესახებ, გააკეთებს ამავე ინსტიტუტის დირექტორი და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ნ. ყიფშიძე, მოხსენებებით გამოვლენ და დისკუსიებში მონაწილეობას მიიღებენ თერაპიის ინსტიტუტის თითქმის ყველა თანამშრომელი.

სესიაზე საინტერესო მოხსენებებს წაიკითხავენ აგრეთვე ცნობილი ქართველი მეცნიერები და პრაქტიკოსი ექიმები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოვიდნენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, — აღნიშნა დასასრულ პროფესორმა ირ. ჭუმბურიძემ, — რომ თერაპიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე აზრთა ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს მეცნიერთა შორის კონტაქტების განვითარებას, თერაპიის აქტუალურ პრობლემებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციას, და, რაც მთავარია, გულის, ფილტვის არასპეციფიურ და ღვიძლის მძიმე დაავადებებთან ბრძოლის ახალი მეთოდების შემუშავებას, სამედიცინო პრაქტიკაში მათს დროულ დანერგვას და ფართო გამოყენებას.

გასტროლების წინ

მეტეხის თეატრი პოლონეთში გამოვა

სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრი-სტუდია საგასტროლოდ მიემგზავრება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. ვარშავაში, კრაკოვსა და ვროცლავში იგი მაყურებლებს უჩვენებს სამ სპექტაკლს. ეს სპექტაკლებია: ს. მრევლიშვილის „ოდი, ვნახოთ ვენახი“, ნ. ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ინსცენირება და ახალი დადგმა „უბედურება“ დ. კლდიაშვილის პიესის მიხედვით. ამ სპექტაკლის პრემიერა პოლონეთში გაიმართება.

მეტეხის თეატრი მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე „პოლონეთის ახალგაზრდა თეატრების“ ფესტივალში, რომელიც ტრადიციულად იმართება ქალაქ ლოძში.

— ეს ჩვენი პირველი საგასტროლო მოგზაურობაა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თეატრის მთავარმა რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა. — ამიტომ სავსებით გასაგებია მღელვარება, რომელსაც ჩვენი ამოქმედებითი კოლექტივის ცხოვრებაში ამ პასუხსაგები მოვლენა გამო. (საქინფორმი).

ჭადრაკში სსრ კავშირის თასზე

დარჩა ორი ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე ტური. „ბურევესტნიკი“ — „ტრუდი“ — 3,5:3,5 (2 პარტია გადაიდო), ცდსა — „დინამო“ — 3:2(4), „ავანგარდი“ — „ხპარტაკი“ — 3:1(5), ხოფლის მოჭადრაკეთა ნაკრები — „დაუგავა“ — 4:1(4).

„დინამომ“ უკვე ზედიზედ მეორედ დაასვენა თავისი ლიდერი ბრონშტეინი, რომელსაც ანიკაევი სცვლის. ახალგაზრდა ოსტატი ენერგიულად, შემართებით იბრძვის, მაგრამ, ცხადია, უჭირს მრავალნაცადი დიდოსტატის შეცვლა. მსოფლიოს ჩემპიონმა კარპოვმა, როგორც ყოველთვის, პარტია მეფიანსწინა პაიკით დაიწყო. დაფაზე წარმოიქმნა სიცილიური დაცვის უმწვავესი პოზიცია, სადაც ანიკაევმა მეფე ცენტრში დატოვა. ანიკაევმა სწორად ვერ შეაფასა შექმნილი მდგომარეობა, რისთვისაც მყისვე დასაჯა კიდეც: ორი პაიკის შეწირვით კარპოვმა წამოიწყო ოერიში და გაიმარჯვა.

პირველ დაფაზე დანარჩენი სამი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, თუმცა რომანიშინის პოზიცია პეტროსიანთან დიდხანს საეჭვო იყო. პირველი პრიზისათვის ბრძოლაში კორჩნოისთან, ტალთან, რომანიშინთან და პეტროსიანთან ერთად ჩაერთო კარპოვიც, რომელსაც ახლა 4 შეხვედრიდან 2,5 ქულა აქვს. ჩინებულად ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონმა გაფრინდაშვილმა. მან თანდათანობით შეავიწროვა ზატულოვსკაია შეწყვეტა წინააღმდეგობა. გაფრინდაშვილმა 5 შეხვედრიდან 3 ქულა მოაგროვა.

საინტერესო გამოდგა ბურგენინეკი — გიპლერისის შეხვედრა. ოქტომბერ-ნოემბერში ისინი „წინ აღუდგნენ“ ერთმანეთს, როგორც მსოფლიოს პირველობაზე მატჩის მონაწილე სეკუნდანტები. ახლა „დინამო“ — ცდსა-ს მატჩში მეორე დაფაზე დიდოსტატები ბევრს ეცადნენ გადამწყვეტი უპირატესობისათვის მიეღწიათ, მაგრამ საბოლოოდ ყაიმს დასჯერდნენ.

როგორც ყოველთვის, დიდძალი მაყურებელი ჰყავს ნორნ მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძის პარტიებს. ეს გასაგებია არის, არც ისე დიდი ხნის შემდეგ 15 წლის გოგონამ მსოფლიოს პირველობის საზონთშორისო ტურნირში უნდა ითამაშოს, რაც თავისთავად უმაგალითო შემთხვევაა.

ახლა მაია გოგონასთა დაფაზე პირველი ჯილდოსათვის იბრძვის.

გუშინ დამთავრდა ხუთი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. ორ პარტიას ამთავრებდა კორჩნოი. მან მოუგო ანიკაევს და ყაიმს მიაღწია პეტროსიანთან. პეტროსიანმა გამოიყენა თავისი შატრარიალური უპირატესობა და მოუგო ბრონშტეინს. ეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის პირველი გამარჯვებაა. გრინფელდი თამაშის განუკანლებლად დანებდა ალექსანდრიას, რომელიც ხუთი შეხვედრიდან ოთხი ქულით ლიდერობს პირველ დაფაზე.

ხუთი ტურის შემდეგ 29 ქულით და ორი გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა „ბურევესტნიკი“.

დღეს შეჯიბრების მონაწილენი ისვენებენ. ხვალ გაიმართება უკანასკნელი ლსწინა, მეექვსე ტური. მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი შავებით ეთამაშება მსოფლიოს ექს-ჩემპიონს სმისლოვს. მსოფლიოს ჩემპიონი გაფრინდაშვილი ასევე შავებით — ალექსანდრიას.

ბ. ბ. ბ.

ჭოკეი

ბრძოლა განახლდა

ეკატერინბურგში გუშინ დაიწყო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი. ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში საუკეთესო შანსები აქვს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, რომელიც ფინალში ქულათა მაქსიმუმით (14) მოხვდა. საბჭოთა ნაკრებმა წინასწარ მატჩებში მხოლოდ 10 ქულა მოაგროვა. შეეცილა და აშშ-ის ნაკრებს გადამწყვეტ ასპარეზობამდე შესაბამისად 8 და 7 ქულა ჰქონდათ.

გუშინ ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები შეხვდნენ ამერიკის გუნდს, ხოლო სსრ კავშირის ნაკრები — შვეიცარიას. პირველ მატჩში ანგარიშით 5:1 გაიმარჯვა გათამაშების ლიდერმა. მეორე ასპარეზობა გვიან გადაწყდა.

მეორე ჯგუფის ფინალურ ტურნირში პოლონელებმა მოუგეს დგრ-ის ნაკრებს — 5:4, ხოლო ფინეთისა და გფრ-ის მატჩი ფრედ დამთავრდა — 4:4.

ბოკსი

ფმხბშრთი. პარიზში გაიმართა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის პირველი მეოთხედფინალური მატჩი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ჩვენს გუნდში თამაშობდნენ თბილისის დინამოელი ყიფიანი და ქუთაისის ტორპედოელი შენგელია. საპასუხო მატჩი მოსკოვში, „ლუკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება 25 აპრილს.

ტანვარჯიში. თბილისში მიმდინარეობს რესპუბლიკის თასის გათამაშება და პირველობა მრავალქალიანი ცალკეულ სახეობებში. ვაჟთა შორის სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდა ნ. კვეტაშვილი — 52,8 ქულა. მეორე ადგილზეა გ. რაქველიძეგილი — 52,6, მესამეზეა — გ. ბახია — 52,4. გუნდურ ჩათვლაში წინ არის თბილისის პირველი ნაკრები.

ჰავანა. სტოკჰოლმში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც პირველობა ტალინელმა ტატიანა ფომინამ მოიპოვა — 7,5 ქულა 9 შესაძლებლიდან. მეორე იყო იოლანტა დახლინი (შვეიცია).

კალათბურთი. ამერიკაში ტურნეთი მყოფმა სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ანგარიშით 135:23 (62:12) დაამარცხა ილინოისის შტატის გუნდი.

მშვილდოსნობა. ტამკენტში მიმდინარეობს უძლიერეს მშვილდოსნთა საკავშირო შეჯიბრება. ქალებში ძირითადი ბრძოლა წარიმართა ძველ მეტოქეებს — ზ. რუსტამოვას, ა. გაპჩენკოსა და ვ. კოვპანს შორის. ჯერჯერობით წინ არის მე-6 სპორტაკიადის ჩემპიონი ვ. კოვპანი. ვაჟთა ტურნირს ლიდერობს მოსკოველი ს. ლობკოვი.

ჭიდაობა

თასი — საბჭოთა ნაკრებს

6 ოქტომბერ, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს შედეგი მოიპოვეს საბჭოთა ფალავნებმა ლენინგრადში „საიუბილეოს“ სპორტის სასახლეში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში. ამასთან, საბჭოთა ნაკრებს ჰადაეცა გუნდური ჯილდოც — ფაფუნრის თასი.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ოლიმპიადის თამაშების ოქროს მედალოსნის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევან თედეიშვილის გამარჯვებას 90 კგ. წონით კატეგორიაში (მიუნხენის ოლიმპიადაზე იგი 82 კგ. წონაში გამოდიოდა). ლენინგრადის ხალიჩაზე ქართველმა ფალავანმა ხუთი, ერთი მეორეზე შესანიშნავი ორთაბრძოლა ჩატარა, მათ შორის უკანასკნელი — კლაუს გორკესთან (გდრ), რომელიც სარეკორდო დროში, 18 წამში გაიკრა ბეჭებზე.

ევროპის ჩემპიონები გახდნენ ავრეთვე საბჭოთა მოქიდავეები — კალინინგრადელი ა. ბელოგლაზოვი (48 კგ.), მოსკოველი ვ. ეუმინი (57 კგ.), ყაზახელი ს. ტიმოფეევი (62 კგ.), ლენინგრადელი ა. მატვეევი (68 კგ.), კრასნოიარსკელი ა. ორბიგენი (100 კგ.).

დანარჩენ წონით კატეგორიებში წარმატების მიაღწიეს სტუმრებმა — უნგრელმა ხ. გალმა (52 კგ.), ჩეხოსლოვაკელმა დ. კარაბინმა (74 კგ.), გფრ-ის წარმომადგენელმა ა. ზეგერმა (82 კგ.), რუმინელმა ლ. შიმონმა (100 კგ. ზევით).

ახლა ლენინგრადის სპორტის სასახლის სარბიელი ეთმობა კლასიკური სტილის მოქიდაველებს.

„სპორტლოტო“

„სპორტლოტო“: 23 (მძლეოსნობა), 25 (თხილამურები — ტრამპლინი), 15 (წყალბურთი), 16 (ტანვარჯიში), 18 (რიტაფელა), 27 (მოტოსპორტი).

„სპორტლოტო-2“: 26 (მოტობოლი), 41 (ნოგბურთი), 10 (ბუერი), 22 (ციგურები), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 9 (ჭიდაობა), (საკვლევი).

ბ. ა. ქულიავეილის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 22 და 23 აპრილს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში (პეკინის ქუჩა, 20). გამოსვენება 24 აპრილს დღის 3 საათზე.

დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ტელევიზია

22 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სტოკჰოლმი, რომელსაც ლენინი ახსოვს“, 11.00 — მხატვრული ფილმი „ლენინი 1918 წელს“, 16.35 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 17.05 — განცხადებები, 17.10 — კინონარკვევი, 17.35 — მოსწავლეთათვის — „კომკავშირულ მერიდიანზე“, 17.55 — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 106 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა და კონცერტი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, შესვენების დროს — „მოამბე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „თოფიანი კაცი“, 23.55 — ევროპის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ლენინგრადიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — რუსული სკოლების III კლასელთათვის — ქართული ენა, 18.35 — კინონარკვევი, 18.55 — VIII-X კლასელთათვის — ფიზიკა, 19.40 — დოკუმენტური ფილმი, 20.20 — მხატვრული ფილმი „დედის გული“.

რადიო

23 აპრილი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.05 — ჯ. ბერლიოზი — საორკესტრო პიესები, 11.45 — „ღრმად მევნიწვლოთ სკკპ XXV ყრილობის მასალები“, 12.15 — მღერის ნ. აბესაძე, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — გ. ტაბიძის ლექსები, 12.30 — ვ. აზარაშვილი — საფორტეპიანო პიესები, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მიწინავე სტატია, 13.50 — მოსწავლეთათვის — „გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 14.00 — უკრავს ორკესტრი „ელარიონ კონცერტსი“, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს გ. სოკოლოვი, 17.40 — მოსწავლეთათვის — „შენი ბავშვობის მეგობარი“, 18.05 — დ. თორაძე — ნაწყვეტები ბალეტებიდან, 18.45 — ს. კაცი — სიმღერები, 19.00 — „საავტომობილო ტრანსპორტი გაზაფხულზე“, 19.15 — რუსული საორკესტრო პიესები, 19.45 — ა. მაჰავარიანი — კამერული ნაწარმოებები, 20.20 — თ. ბიბილურის მოთხრობა „მრისხანე კაცის“ მუსიკალური რადიოინსცენირება, 20.45 — „რადიომსმენელებს უპასუხებენ მედიკოსები“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ი. არხიპოვასა და ნ. გიაურაოვის კონცერტი, 22.00 — „მწერალი და ცხოვრება“, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

თეატრები

22 აპრილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სამანიშვილის დედინაცვალი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — როცა ქალაქს ხმინავს; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ძველი თბილისის სურათები.

ამინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში უმეგესად უნალექო ამინდი იყო, -13 საათზე დაბლობ რაიონებში 8-13, მთაში 7-11 გრადუსი სითბო აღინიშნა. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში წვიმდა, ყველაზე მეგი სითბო, 14 გრადუსი ლაგოდეხში იყო, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 8-12, მთაში 3-7 გრადუსი სითბო იყო.

თბილისში 13 საათზე თერმომეტრი 13 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, დაბლობ რაიონებში 11-16, მთაში 6-10 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელვექი, ღამისგრაგენა — დაბლობ რაიონებში 12-17, მთაში 7-12 გრადუსი სითბო.

თბილისში 15-17 გრადუსი სითბო იქნება.

ოდ ვნახოთ, ოდ შოეისმინოთ

კომუნისტი 380028 თბილისი-28, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებმა—99-93-03, 99-03-09, ბ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-86-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 05730

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14